საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

KA990185127288319

№12/4311 **16 / ოქტომბერი / 2019 წ.**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტროს

ასლი: გორის მუნიციპალიტეტის მერიას

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში განხილულ იქნა ქ. გორის მიწათსარგებლობის გეგმის კონცეფცია. წარმოდგენილი დოკუმენტი ეყრდნობა სერიოზულ კვლევას, რაც მაღალპროფესიულ შეფასებას იმსახურებს. ამასთან, გამოიკვეთა ვითარება, როცა უკვე შესადგენია დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზე დაზუსტება ქალაქის ისტორიული ნაწილის დაცვითი ზონები და მათი საზღვრები. ეს არის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა და ქალაქის ურბანული მემკვიდრეობის ძეგლების რეინვენტარიზაცია და შეფასება. აღნიშნული სამუშაოები გამოავლენენ იმ მონაკვეთებს, რომელიც სცდება კონცეფციაში წარმოდგენილი დაცვითი ზონის ფარგლებს და მის გარეთ წერტილოვნად ან კუნძულებად ნაწილდება.

ასევე, ე.წ. „ბაზრის“ ტერიტორიას სასურველია მიენიჭოს რეგულირების ზონის ნაცვლად, ისტორიული განაშენიანების ზონა, რათა არ მოხდეს გორის ციხის აღქმის გაუარესება ისტორიულად ჩამოყალიბებული ლანდშაფტის ფონზე. ამ ტერიტორიის რეალური საკითხის გადასაწყვეტად სასწრაფოდ დასამუშავებელია განაშენიანების დეტალური გეგმა. განაშენიანების დეტალურ გეგმაზე დავალება დამუშავდეს მუნიციპალიტეტის, კულტურის სამინისტროსა და გენერალური გეგმის ავტორებთან შეთანხმებით.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაცია გახლავთ ის სამუშაოები, რომელიც ზემოთ არის აღნიშნული. ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გზშ-ს ანგარიშის მომზადებაზე პასუხიმგებელ ჯგუფში ჩართულ იქნან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე